მფლობელობა ფაქტი თუ სუბიექტური უფლება

(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

გიორგი ნონიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ნონიაშვილი

28. 06. 2019 წელი

მადლობა

მადლობა ჯეიზის, ჩემს კატას, რომელიც ზის და მიყურებს.

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შეეხება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილის - სანივთო (ქონებრივი) სამართლის პრობლემატურ საკითხს - მფლობელობას. ნაშრომის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის შესახებ საქართველოსა და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო ბაზის, სასამართლო მწყობრი პრაქტიკისა (,,Case Law'') და იურიდიული დოქტრინის მიმოხილვა და ანალიზი.

აღნიშნული შედარებით-სამართლებრივი კვლევა უმეტესად ემსახურება თანამედროვე ქართული სანივთო სამართლის დახვეწას, სრულყოფას, განვითარებასა და მკითხველისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზებას. სამაგისტრო ნაშრომში ერთმანეთს უპირისპირდება მფლობელობის ფაქტობრივი და უფლებრივი საწყისები, დეტალურად არის განხილული რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში არსებული რეგულაციები და განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქართულ საკანონმდებლო სივრცეში მფლობელობის სამართლებრივ ინსტიტუტთან დაკავშირებული ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის განმარტებებსა და პრაქტიკულ პრობლემატურ საკითხებზე.

შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა იმისა, მკითხველისთვის აშკარა გახდეს ის კონკრეტული საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, რაც არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სანივთო (ქონებრივი) სამართლის წიგნით მოწესრიგებულ მფლობელობის ინსტიტუტში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მფლობელობა, ფაქტი, უფლება, ფაქტობრივი მდგომარეობა, კეთილსინდისიერი მფლობელი, მფლობელობის დაცვა.

Abstract

Presented master's thesis concerns the problem of possession of one of the most important parts of the civil law – property law. The main purpose of the master's thesis is to review and analyze the legal database, case law and legal doctrine concerning the named institution, prevailing in Georgia and in the continental European countries.

This comparative legal research mainly serves to improve, complete, develop the modern Georgian law and provide respective recommendations for readers. The Master's thesis shows a comparison of the owner's factual and subjective possession rights, discusses in detail respective regulations prevailing in the Roman-Germanic civil law countries and particularly focuses on the interpretations of the regulations and court practices related to the institution of legal ownership in the Georgian legislation.

It may be stated that the presented master's thesis is an attempt to bring some clarity concerning specific legislative and practical gaps present in the Institute of possession governed by the Civil Code of Georgia.

Keywords: Possession, Fact, Right, factual possession, bona fide possessor, protection of possession.